# პრეზენტაციის შექმნა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით

მოამზადა: ნინო მარღიშვილმა

ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყნებით შეგიძლიათ შექმნათ საინტერესო, ვიზუალურად გაფორმებული პრეზენტაცია. შესაძლებელია შექმნილი პრეზენტაციის რედაქტირება, გადმოწერა ან გაზიარება.

პრეზენტაციის შესაქმნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა უფასო პლატფორმები. მაგალითად:

- Wepik.com -Free Graphic Design Editor & Online Templates | Wepik
- slidesgo.com - Free Google Slides themes and Powerpoint templates | Slidesgo

ქვემოთ მოცემულია პრეზენტაციის შექმნა **Wepik** - ის გამოყენებით.

# პრეზენტაციის შექმნა  Wepik - ის გამოყენებით

Wepik გთავაზობთ სხვადასხვა ინსტრუმენტს და მათ შორის- AI პრეზენტაციის შექმნის ინსტრუმენტს- AI  Presentation Maker. მას ასევე აქვს შაბლონების დიდი ბიბლიოთეკა.

***იმისათვის რომ შექმნათ AI პრეზენტაცია:***

1. გახსენით ვებგვერდი Free Graphic Design Editor & Online Templates | Wepik და გაიარეთ რეგისტრაცია  - https://wepik.com/

**2.** აირჩიეთ მენიუ **Features**- დან  ბრძანება **AI Presentation Maker;**




**3.** დააწკაპუნეთ ღილაკს **Get Started;**

4. შეიტანეთ თქვენი პრეზენტაციის თემა და მონიშნეთ სტილი;
5. მონიშნეთ სასურველი **Writing tone;**

6. დააწკაპუნეთ ღილაკს **Generate presentation** და დაელოდეთ პრეზენტაციის შექმნას;

7. გაითვალისწინეთ პრეზენტაცია იქმნება ინგლისურ ენაზე, სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ პრეზენტაციის რედაქტირება. რედაქტირება შეიძლება, როგორც ტექსტური ასევე გრაფიკული და ვიდეო ინფორმაციის. რედაქტირებისთვის გამოიყენეთ მარცხენა მხარეს მოთავსებული მენიუ;




8. გადმოწერეთ პრეზენტაცია **Download** ღილაკის საშუალებით ( PDF, PNG, JPEG ფაილი) ან გააზიარეთ ის.